თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6621565

ნომერი: AR1984093

თარიღი : 14.08.2023

გაცემის თარიღი : 18.08.2023

გაცნობის თარიღი : 18.08.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გალი , N 8; ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრიაშვილი , N 31; ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრიაშვილი , N 31ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ჩხაიძე პ/ნ 01024024996
- ფალიაშვილის ქ . 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6609910 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 14

აგვისტოს №AR1984093 განცხადებით მომართა ნიკოლოზ ჩხაიძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6609910 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2023 წლის 11 აგვისტოს №6609910 ბრძანებით №01.15.02.031.014, №01.15.02.031.008 და №01.15.02.031.007 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6609910 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, განმცხადებელი უთითებს, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება მოთხოვნილი იყო სამ საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ხოლო, სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6609910 ბრძანებაში მითითებულია მხოლოდ ორი საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2023 წლის 26 ივნისს №AR1973811 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.15.02.031.014, №01.15.02.031.008 და №01.15.02.031.007 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. ამასთან, ,,განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე“ - ველში რუკაზე მონიშნულ იქნა №01.15.02.031.014, №01.15.02.031.008 და №01.15.02.031.007 საკადასტრო კოდები. სამსახურმა იმსჯელა საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა, ბრძანებაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი-ს ველში №01.15.02.031.014, №01.15.02.031.008 და №01.15.02.031.007 საკადასტრო კოდების ნაცვლად პროგრამულად მხოლოდ №01.15.02.031.014, №01.15.02.031.008 საკადასტრო კოდები აისახა. სამსახური, აქვე განმარტავს, რომ რამდენიმე საპროექტო საკადასტრო კოდის არსებობის შემთხვევაში პროგრამა ბრძანებაში ავტომატურად აფიქსირებს რუკაზე მონიშნულ მხოლოდ პირველ ორ საკადასტრო კოდს. ამასთან, სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6609910 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში - საკადასტრო კოდ(ებ)ის ველში მითითებულია საპროექტო მიწის ნაკვეთის სამივე საკადასტრო კოდი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6609910 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6609910 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი-ს ველს დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:

- საკადასტრო კოდი: №01.15.02.031.007
- მისამართი: ქალაქი თბილისი, პეტრიაშვილის ქუჩა №31ა
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 177.00 კვ.მ.
- მესაკუთრე(ები): შპს ,,ჰილსაიდ დეველოპმენტი'' (ს.ნ: 404678176)

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6609910 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6609910 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.